"ვამტკიცებ"
საქართველოს ძალოსნობის ეროვნული
ფედერადიის გენერალური მდივანი

------------------- რ.მურადაშვილი
"20" აგვისტო 2020წ.

# შეჯიბრის დებულება

„2020 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იუნიორებსა (U20) და დიდებში"

## შეჯიბრების მიზანი და ამოცანა

- ძალოსნობის პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოში
- პერსპექტიული ძალოსნების გამოვლენა/შერჩევა ნაკრებისათვის

## შეჯიბრების ადგილი და თარიღი

- შეჯიბრება გაიმართება 18-19-20 სექტემბერს ქ.ბათუმში (ლადო ასათიანის №27, სპორტის სასახლე)
- ჩამოსვლის დღე 17 სექტემბერი

## შეჯიბრებაში დაშვების წესები

- შეჯიბრება ჩატარდება არსებული საერთაშორისო წესების მიხედვით. შეჯიბრებაში დაიშვებიან საქართველოს მოქალაქესპორტსმენები შემდეგ წონით კატეგორიებში: *55კგ; 61კგ; 67კგ; 73კგ; 81კგ; 89კგ; 96კგ; 102კგ; 109კგ; +109კგ., რომლებიც ასრულებენ მეორე თანრიგს.*
- გუნდურ ჩათვლაში შევა იმ სპორტსმენის შედეგი, რომელიც შეასრულებს *მეორე თანრიგს. გაორება დასაშვებია ნებისმიერ წონით კატეგორიაში არაუმეტეს ორი სპორტსმენისა.*

## გამარჯვებული სპორტსმენების და გუნდების დაჯილდოვება

- პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, თასებით და შესაბამისი სიგელებით **(U20 და დიდებში ინდივიდუალურად)**
- სინკლერის სპეციალური ცხრილით გამოვლენილ 6 (ექვსი) საუკეთესო ძალოსანს (დიდებში) გადაეცემა შესაბამისი ფულადი ჯილდო და სიგელი.
- შეჯიბრება ჩატარდება პირად-გუნდურ პირველობაშიც. პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან თასებით **(U20 და დიდებში ინდივიდუალურად)**.

## ფინანსური მდგომარეობა

- ძალოსნობის ფედერაცია გაიღებს მსაჯების სასტუმროს, ანაზღაურების და გამარჯვებული სპორტსმენების და გუნდების დასაჯილდოვებელი პრიზების ხარჯებს.
- გუნდების მგზავრობის, სასტუმროს და კვების ხარჯებს გაიღებს მიმავლინებელი ორგანიზაცია.
- *წინასწარი განაცხადი წარმოადგინეთ 2020 წლის 11 სექტემბრამდე.*

***P.S. COVID-19** *პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება იუნიორებსა და დიდებში ჩატარდეს გაერთიანებული ეროვნული ჩემპიონატი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ყველა შესაბამისი უწყების რეგულაციების დაცვით.*

***P.P.S.** *იმ შემთხვევაში, თუ (U20) სპორტსმენი გახდება ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებული, გადაეცემა როგორც U20-ის ჯილდო, ასევე ეროვნული ჩემპიონის კუთვნილი ჯილდოც.*

განაცხადის ფორმა დანართი #1

შეჯიბრი: „2020 წლის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იუნიორებსა (U20) და დიდებში“

რეგიონი ____________________________________

| # | სახელი, გვარი | წონითი კატ. | ორჭიდი |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| 3 | | | |
| 4 | | | |
| 5 | | | |
| 6 | | | |
| 7 | | | |
| 8 | | | |
| 9 | | | |
| 10 | | | |
| 11 | | | |
| 12 | | | |
| 13 | | | |
| 14 | | | |
| 15 | | | |
| 16 | | | |
| 17 | | | |

**პასუხისმგებელი პირი**

სახელი გვარი სრულად ____________________________________

ხელმოწერა ____________________________________

თარიღი ____________________________________